პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი — орган ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 24 (9800) | პარასკევი, 29 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში. — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ (1-ლი გვერდი).

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეების საქალაქო თათბირი (1-ლი გვერდი).

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ (მე-2 გვერდი).

საქართველოს კომკავშირის XX ყრილობა (მე-2 გვერდი).

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის თათბირი (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის გზა (მე-4 გვერდი).

პროექტი ბულგარეთის კომპარტიის VI ყრილობის დირექტივებისა მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ახალი წარმატებებისათვის შრომასა და სწავლაში, ამხანაგო კომკავშირელებო!

ამ რამდენიმე დღის წინათ მუშაობა დაამთავრა საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XX ყრილობამ. „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ანგარიშს ამ ყრილობის შესახებ.

საქართველოს კომკავშირის XX ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის, ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ყრილობამ ერთხელ კიდევ განსაკუთრებული ძალით გვიჩვენა ახალგაზრდობის, კომკავშირის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება თავისი დედა-სამშობლოსადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

კომკავშირი ახალგაზრდობის ყველაზე შეგნებული, მოწინავე, საუკეთესო რაზმია. დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა, კომუნისტურმა პარტიამ მას დააკისრეს უაღრესად საპატიო და პასუხსაგები ამოცანა — კომუნისტურად აღზარდოს მოზარდი თაობა, ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედი, ჩვენი ღირსეული ცვლა. და კომკავშირიც, პარტიული ორგანიზაციების მზრუნველობითა და დახმარებით სასახელოდ ასრულებს ამ მოვალეობას.

კომკავშირმა სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება შეიძინა. საბჭოთა ახალგაზრდები თავიანთი უფროსი ამხანაგების მხარდამხარ თავდადებით შრომობენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, სანიმუშო მაგალითებს გვიჩვენებენ შრომასა და სწავლაში. ისინი არიან მრავალ ძვირფას წამოწყებათა ინიციატორები, რაც უმალვე მთელი ხალხის კუთვნილება ხდება. კომკავშირისათვის არ არსებობს სხვა უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ბრძოლა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისათვის, ჩვენი ქვეყნის ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიურად იბრძვიან პარტიის XIX ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომკავშირელები მოწინავეთა რიგებში დგანან ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასულ წელს 38 ათასზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება.

საქართველოს კომკავშირელებმა, სოფლის ახალგაზრდებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილება მიიღეს როგორც თავიანთი მოღვაწეობის ნათელი საბრძოლო პროგრამა. პარტიული ორგანიზაციების დახმარებით სოფლის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საყოველთაო-სახალხო ამოცანის — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში. პარტიის მოწოდების პასუხად სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ გაგზავნეს ორი ათასამდე კომკავშირელი, ჭაბუკი და ქალიშვილი. სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის, რომლებიც მტს-ებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ დაბრუნდნენ, ბევრია კომკავშირელი.

უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდისათვის, კულტურულ-მასობრივი საქმიანობის გამოცოცხლებისათვის, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მაღალი აკადემიური წარმატებისა და დისციპლინისათვის, კომკავშირული ორგანიზაციების ზრდისა და მათი ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

ამასთან ერთად, როგორც ეს საქართველოს კომკავშირის XX ყრილობამ აღნიშნა, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის.

ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდა — ეს ნიშნავს თვითეული კომკავშირელისა და ახალგაზრდის ფართოდ ჩაბმას საზოგადოებრივ, საყოველთაო-სახალხო საქმეში. ახალგაზრდობის ნამდვილად კომუნისტურად აღზრდა — ეს მისი მონაწილეობაა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომაში. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იშვიათი როდია, როცა ახალგაზრდა მუშები ვერ ასრულებენ საწარმოო დავალებებს, არღვევენ შრომის დისციპლინას, არცხვენენ კომკავშირელის მაღალ სახელს.

კომკავშირის ყრილობამ მკაცრად გააკრიტიკა ლენინგორის, დუშეთის, ქლუხორის, თიანეთის, კასპის და სხვა რაიონების კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც არ იჩენენ ინიციატივას მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში, მისთვის საჭირო ნაგებობათა მშენებლობაში, შრომატევადი პროცესების მექანიზებაში. ზოგან კომკავშირულ ორგანიზაციებში ბევრს ლაპარაკობენ სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის აღმავლობაზე, ხოლო პრაქტიკულად ცოტას, ან სრულიად არაფერს აკეთებენ ამ საქმისათვის. მაგალითად, კომკავშირის ქლუხორის რაიკომმა ისიც კი ვერ შეძლო, რომ ფერმებში მომუშავე კომკავშირელები მუდმივად შეენარჩუნებინა. სწორედ ასეთი უდარდელობისა და დაუდევრობის გამო მათი ნაწილი ფერმებიდან მთლიანად წავიდა.

აგრეთვე სრულიად შეუწყნარებელია, რომ ყვარლის, ჭიათურის, საგარეჯოს, კასპის, მაიაკოვსკის და სხვა რაიონების ბევრი კომკავშირელი არ მონაწილეობს საკოლმეურნეო წარმოებაში, ხოლო კომკავშირული ორგანიზაციები ურიგდებიან ამას და არ იღებენ გადამჭრელ ზომებს საკოლმეურნეო შრომაში თვითეული კომკავშირელის აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ახალგაზრდობაში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. ყრილობამ დაავალა სოფლის კომკავშირულ ორგანიზაციებს, რათა სოფლად ახალგაზრდები გამოვიდნენ ამ კულტურების რგვისა და თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის დანერგვის, საადრეო ბოსტნეულის მოყვანის, სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობის ინიციატორებად.

კიდევ უფრო რომ ავამაღლოთ კომკავშირელების, ახალგაზრდობის აქტივობა სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში, ამისათვის აუცილებელია სერიოზულად, გადაჭრით გავაუმჯობესოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კომკავშირში. არ შეიძლება შევუფრიგდეთ იმას, რომ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ნაწილი ჩაბმული არ არის პოლიტსწავლებაში, რომ ბევრ წრეში მეცადინეობა არასაინტერესოდ, მოსაწყენად ეწყობა, რომ მსმენელები აქტივობას არ იჩენენ, რომ კომკავშირული ორგანიზაციები საკმაო კონტროლს არ უწევენ კომკავშირულ კადრებს მათი იდეურ-თეორიული დონის სისტემატურად ამაღლებისათვის.

დიდი ნაკლოვანებანია აგრეთვე სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციების საქმიანობაში, განსაკუთრებით სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო და ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში.

საქართველოს კომკავშირის XX ყრილობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. ამოცანა ახლა ის არის, რომ აქედანვე მთელი ენერგიით, შეუპოვრობით, მონდომებით ვიბრძოლოთ ყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XIX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებიდან. საქმის წარმატება ახლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შევაიარაღებთ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას მათ წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, რამდენად ნათლად განვუმარტავთ თვითეულ კომკავშირულ ორგანიზაციას — საიდან და როგორ შეასხას ფრთები ცოცხალ პრაქტიკულ საქმეს.

ჩვენი ახალგაზრდობა მეტად ხალისიანია. მას უყვარს მხიარულება. ამიტომ საჭიროა კომკავშირული ორგანიზაციები უფრო მეტ მზრუნველობას იჩენდნენ კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კომკავშირის, ახალგაზრდობის წინაშე მდგომი ამოცანები მოითხოვს თვით ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებას. საიდუმლოებას როდი წარმოადგენს, რომ ზოგან კანცელარული წესები დამკვიდრდა. მუშაკები ხშირად გატაცებული არიან სხდომებით, თათბირებით, ქაღალდების თხზვით, ეჩვევიან ზოგადად, საერთოდ ხელმძღვანელობას, დეკლარაციული მითითებების მიცემას.

ვიყვნეთ იქ, სადაც ახალგაზრდობაა, შევისწავლოთ მათი მოთხოვნები და საჭიროებანი, ადგილზე დავეხმაროთ შრომასა და სწავლაში, გართობასა და დასვენებაში — აი რა მოეთხოვება თვითეულ კომკავშირულ მუშაკს, თუ სურს, რომ იგი იყოს ახალგაზრდობის ნამდვილი აღმზრდელი, მისი მრჩეველი და მეგობარი.

მომდინარე წლის 14 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია. ეს დიდი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა საბჭოთა ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაში. კომკავშირული ორგანიზაციები, კომკავშირელები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში, აგიტაციისა და პროპაგანდის ფართოდ გაშლაში, ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობის მოწყობაში.

პარტია გვასწავლის, რომ პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია კომკავშირის მთელ მუშაობაში. პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ძლიერების, მისი წარმატების წყაროა. საჭიროა ამ მითითებებიდან სათანადო დასკვნები გააკეთონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მოწოდებული არიან ყოველდღიურად უხელმძღვანელონ და დაეხმარონ კომკავშირულ კომიტეტებს, თვითეული პირველადი ორგანიზაციის მდივანს. კომკავშირის მუშაობა ქალაქად და სოფლად, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლება, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება, კომკავშირული ორგანიზაციების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაში ხელმძღვანელი კადრების, პროპაგანდისტების, პიონერხელმძღვანელების შერჩევაში, განაწილებასა და გამოზრდაში. და ეს დახმარება მათ ყოველდღიურად უნდა გაეწიოს.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომკავშირი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით წარმატებით შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და კიდევ უფრო გამოიჩენს თავს დიად შემოქმედებითს შრომაში როგორც პარტიის ღირსეული თანაშემწე, მისი მტკიცე რეზერვი.

ახალი წარმატებებისათვის შრომასა და სწავლაში, ამხანაგო კომკავშირელებო!

ახალი წარმატებისათვის ჩვენი ახალგაზრდობისა და ბავშვების კომუნისტურად აღზრდის საქმეში!

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1954 წლის 14 მარტის მომავალი არჩევნები — ნათქვამია დადგენილებაში, — დიდი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაში. არჩევნები ჩატარდება სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისა და შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეგებება გაზრდილი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით, ახალი წარმატებებით შრომასა და სწავლაში.

აძლევს რა დიდ მნიშვნელობას ახალგაზრდობის მონაწილეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა კომკავშირულ ორგანიზაციებს, საკავშირო ალკკ ყველა წევრს ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში. მთელი სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა კიდევ უფრო დაიარაზმოს კომუნისტური პარტიის გარშემო, რომ ყველა ახალგაზრდა ამომრჩეველმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში და დეპუტატებად არჩეულ იქნან საბჭოთა სამშობლოს საუკეთესო შვილები, პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის მედგარი მებრძოლები.

მომავალ საარჩევნო კამპანიაში კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია პროპაგანდისა და აგიტაციის ყოველი ღონისძიებით გაჩაღება ახალგაზრდობაში. საჭიროა ახალგაზრდა ამომრჩევლებს განვუმარტოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ვაჭრობის განვითარების შესახებ, სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, განვუმარტოთ ახალგაზრდობას სსრ კავშირის კონსტიტუციის დიადი პრინციპები, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე, ვუჩვენოთ საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა, გავაცნოთ ახალგაზრდა ამომრჩევლებს, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში, საარჩევნო კანონი, განვუმარტოთ მათ საბჭოთა საარჩევნო სისტემის პრინციპები. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები, გაზეთების კითხვა, ახალგაზრდა ამომრჩეველთა კრებები, არჩევნებისადმი მიძღვნილი საღამოები.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თვალსაჩინო აგიტაციის მოწყობაში, იმაში, რომ კულტურის სასახლეებში, კლუბებში, ხოჯ-სამკითხველოებში, წითელ კუთხეებში, თეატრებსა და კინოთეატრებში მოაწყონ გამოფენები, ვიტრინები, პლაკატები, ფოტოგაზეთები კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო მიღწევების შესახებ, საბჭოთა ახალგაზრდობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შესახებ, სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში კომკავშირელების, ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ გააჩაღონ აგიტაცია იმისათვის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულ იქნან კომუნისტებისა და უპარტიოების საარჩევნო ბლოკის მიერ დასახელებული კანდიდატები.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაქცია იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ორგანიზაციულ-ტექნიკურ მუშაობას და დაავალა მათ ამ მუშაობაში ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა ორგანოებს და საარჩევნო კომისიებს.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გაიჩაღონ ახალგაზრდობაში სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების წარმატებით განხორციელებისათვის, 1954 წლის საგაზაფხულო თესვის თავის დროზე მომზადებისა და ჩატარებისათვის. არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში უნდა მივაღწიოთ შინაკომკავშირული მუშაობის შემდგომ აღმავლობას, მთელ ახალგაზრდობასთან კომკავშირის ურთიერთობის განმტკიცებას.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეების საქალაქო თათბირი

27 იანვარს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა მოაწყო ქალაქ თბილისის აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეების თათბირი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. სეხნიაშვილმა. მან დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა გამოვიყენოთ წინა საარჩევნო კამპანიების პერიოდში შეძენილი გამოცდილება სააგიტაციო-მასობრივი მუშაობისა, ფართოდ გამოვიყენოთ მისი სხვადასხვა ფორმები — ისეთები, როგორიც არის საუბრები, ლექციები და მოხსენებები საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ, საბჭოთა კონსტიტუციის, კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის წარმატებათა შესახებ.

ქალაქში შექმნილია 290 აგიტპუნქტი. წინასაარჩევნო სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა 13 ათასზე მეტი აგიტატორი. ბევრმა აგიტპუნქტმა ფართოდ გააჩაღა სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში — აწყობს ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს. მაგრამ აგიტპუნქტების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია — აგიტპუნქტები ჯეროვნად არ არის გაფორმებული, არა აქვთ საჭირო ლიტერატურა და სხვ.

საჭიროა მივიღოთ ყველა ღონისძიება, რათა გაძლიერდეს ფართო აგიტაცია ამომრჩევლებში უშუალოდ მათ საცხოვრებელ ადგილზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობასა და ქალებში, გაძლიერდეს კონტროლი აგიტატორთა მუშაობისადმი.

თათბირზე თავისი მუშაობის გამოცდილების შესახებ ილაპარაკა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 7 აგიტპუნქტის გამგემ გ. კაჭაჭიშვილმა. აგიტპუნქტში სისტემატურად ეწყობა საუბრები და ლექციები საბჭოთა კონსტიტუციის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შესახებ და სხვ. აქ უშვებენ კედლის გაზეთ „ამომრჩევლის ხმას“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა და აგიტპუნქტების გამგეებმა ს. სობოლმა (ქალინინის სახელობის რაიონი), ვ. ტარანოვსკიმ (სტალინის სახელობის რაიონი), მ. ვაჭარიანმა (26 კომისრის სახელობის რაიონი), ვ. მელაძემ (მოლოტოვის სახელობის რაიონი), ნ. კრავეიშვილმა (ორჯონიკიძის სახელობის რაიონი) და სხვებმა, რომლებმაც ილაპარაკეს მოსახლეობაში მასობრივ-სააგიტაციო მუშაობის წარმოების შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ამ მუშაობის ფართოდ გაჩაღებას ხელს უშლის საარჩევნო ლიტერატურის ნაკლებობა, და ის, რომ გაზეთებში ცოტა ქვეყნდება მასალა არჩევნების საკითხებზე. (საქდესი).

ყოველდღე სულ უფრო ფართოდ ჩაებმება ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. დედაქალაქის აგიტატორები დიდ მუშაობას ეწევიან ამომრჩევლებთან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საინტერესო, შინაარსიან და ცოცხალ საუბრებს მართავს ბელინსკის ქუჩის № 12 სახლის დიასახლისებთან აგიტატორი — თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. გულდავაძე. **სურათზე:** ამხ. ლ. გულდავაძე მორიგ საუბარს ატარებს დიასახლისს ამომრჩევლებთან.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

დარბაზობა ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოში

26 იანვარს ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. შივასანკარა მენონმა დარბაზობა გამართა რესპუბლიკის გამოცხადების დღის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიჭოიანი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. კ. პონომარენკო, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. თ. ტრეტიაკოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ვ. ა. ზორინი, ვ. ვ. კუზნეცოვი, პ. ნ. კუმიკინი, ს. ვ. კაფტანოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე დ. ვ. სკობელცინი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

სტუმრებს შორის იყვნენ აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები. დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ

მესამე დღეა მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მიმდინარეობს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა თათბირი, რომელიც მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

27 იანვარს დილით სხდომის დაწყებამდე თათბირის მონაწილენი ეცნობოდნენ კრემლის ღირსშესანიშნაობებს, რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ათვალიერებდნენ ძველ ტაძრებს, წახნაგოვან და ოქროს პალატებს.

დილის სხდომაზე გრძელდებოდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ბენედიქტოვის მოხსენების განხილვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებისა და „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ტრიბუნაზეა როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის დირექტორი ამხ. **ეფევსკი.** ქარხნის კოლექტივმა, ამბობს იგი, გასულ წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასობით კომბაინი, სატრაქტორო გუთანი, ამკრეპ-დამბრუნებელი მანქანა, გადაჭარბებით შეასრულა სათადარიგო ნაწილების წარმოების პროგრამა. ქარხანაში დიდი მუშაობა წარმოებს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინის, თვითმავალი სათიბი მანქანისა და სხვა მანქანების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად საწარმოს კოლექტივი ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული მტს-ების მექანიზატორებთან, კონსტრუქტორები და ტექნოლოგები საკმაოდ ვერ იყენებენ მათ მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას.

1954 წლიდან, განაცხადა დასასრულ ამხ. ეფევსკიმ, ქარხნის კოლექტივმა იკისრა სოციალისტური ვალდებულება — 20 პროცენტით გაადიდოს პროდუქციის გამოშვება იმავე საწარმოო ფართობებზე.

— ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, — ამბობს რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **ლობანოვი,** — უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რაც შეიძლება სრულად გამოყენებულ იქნას უმრეტი რეზერვები, რომლებიც სოფლის მეურნეობას აქვს. მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად მარცვლეულის წარმოების გადიდების წყაროა ყამირი და ნაყენი მიწების ათვისება. მარტო 1954 და 1955 წლებში რუსეთის სფს რესპუბლიკამ უნდა ათვისოს 4.700 ათასი ჰექტარი ასეთი მიწა, რაც აღემატება ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიის, დანიისა და ავსტრიის ხორბლის ათეს ფართობს ერთად აღებულს.

მილიონობით ტონით გადიდდება საკოლმეურნეო სოფლის პროდუქტების წარმოება, თუ შევამცირებთ თესვის ვადებს. ამისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს ტრაქტორების გამოყენება და მკვეთრად შემცირდეს მანქანების მოცდენა. მოსავლიანობის გადიდების უდიდესი რეზერვია აგრეთვე ორგანული და მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენება.

სერიოზული პრეტენზიები წაუყენა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს ორიოლის ოლქის ვერხოვსკის მტს-ის მთავარმა ინჟინერმა ამხ. **ნედაჩინმა.** ვერხოვსკის მტს-ი ერთ-ერთი ჩამორჩენილი მტს-ია ოლქში. სადგურის სახელოსნო ცუდად არის მოწყობილი, არა აქვს ინსტრუმენტი. ამავე დროს რუსეთის სასოფლო მომარაგების მთავარი სამმართველოს მოსკოვის ბაზა, მიუხედავად რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებისა, უკვე მთელი თვეა არ გზავნის ინსტრუმენტს. ოლქში არსებული სათადარიგო ნაწილები რაიონებში იგზავნება მტს-ების მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად.

ამხ. ნედაჩინი ეხება აგრეთვე მექანიზატორთა ყოფაცხოვრების ორგანიზაციისა და გაუმჯობესების საკითხებს. იგი ამბობს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამ ცოტა ხნის წინათ მტს-ებში სამუშაოდ გაგზავნილ სპეციალისტებს.

სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. **ჩილინგარიანმა** ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შესახებ. ყველა მტს-ი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. მტს-ების დირექტორების ოთხი მეხუთედი, მთავარი ინჟინრების 90 პროცენტზე მეტი და სარემონტო სახელოსნოების გამგეთა 70 პროცენტზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებია. რესპუბლიკის საკომედურნეო მინდვრების მშრომელები ახლა ყველაფერს აკეთებენ, რათა ვადამდე დაამთავრონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტი და სათესლე ფონდების შენახვა.

— მაგრამ,—ამბობს ორატორი, — ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია: წინ მოველის უფრო მეტი მუშაობა, რათა უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა.

ამხ. ჩილინგარიანმა გააკეთა კრიტიკული შენიშვნები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, რომელიც სატრაქტორო სამუშაოების, სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის ხარჯების დაგეგმვას აწარმოებს მთის პირობებში მანქანებისა და მექანიზმების მუშაობის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად.

ორკუტსკის ოლქის კოლმეურნეობა „გოგანტის“ თავმჯდომარე ამხ. **დიომინი** ლაპარაკობს, თუ რა ზომებს იღებენ ტაიგის შორეული არტელის კოლმეურნეები პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მითითებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ამხ. დიომინი აკრიტიკებს სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობებს ელექტრომოწყობილობით, ზაფხულ-სადურგლო და სამშენებლო ინსტრუმენტით, ჩარხებით სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

ზაპოროჟიეს ოლქის კონა-რაზდორსკის მტს-ის დირექტორმა ამხ. **კოზლოვმა** ილაპარაკა თავისი საქმიანობის პირველ ნაბიჯებზე, როცა იგი პარტიის მოწოდებით მრეწველობაში 30 წლის მუშაობის შემდეგ გადავიდა სამუშაოდ მტს-ში. ორატორი კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს მთელი რიგი იმ საკითხების სირთულესა და მრავალგვარობას, რომლებზეც მუშაობს მტს-ის დირექტორი. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ დირექტორმა სწორად მოაწყოს და დაგეგმოს თავისი აპარატის შრომა, განამტკიცოს დისციპლინა. ახლა მტს-ში რეგულარულად მიმდინარეობს ყოველკვირეული ოპერატიული თათბირები, რომლებზეც მუშაკები მოხსენებას აკეთებენ დავალებათა შესრულების შესახებ, აჯამებენ გასული კვირის შედეგებს. ყოველ სპეციალისტს აქვს მუშაობის ინდივიდუალური გეგმა, რომლის შესრულებასაც კონტროლი ეწევა.

ამხ. კოზლოვმა აღძრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის ტექნიკური კულტურის სამრეწველო საწარმოთა მიერ მიღწეულ დონემდე ამაღლებასთან. ამისათვის მტს-ის სარემონტო ბაზა უნდა აღიჭურვოს თანამედროვე ჩარხებითა და ინსტრუმენტით, ბევრი რამ გაკეთდეს მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პოლიტიკური და კულტურული მუშაობა მათ შორის.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი მოგილიოვის ოლქის კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარის ამხ. **ორლოვსკის** სიტყვა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა მდიდარი რეზერვები და შესაძლებლობა აქვს დიდ მრავალდარგოვან მეურნეობას. გასული წლის განმავლობაში კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი ორახეკვარკერ და ჟურო მეტად გაიზარდა და შეადგინა 10.320 ათას მანეთს. ას ჰექტარ ხანძავზე, მდელოსა და საძოვარზე კოლმეურნეობას ჰყავს 21 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 20 ღორი. თვითეულმა ძროხამ საშუალოდ მიიწველა 3.188 ლიტრი რძე, ხოლო მწველიცებმა ამხ. პსეედიშმა და ბელიაევსკაიამ თვითეულმა 5.580 ლიტრი რძე მოწველა. ორატორს მოჰყავს ცნობები, რომლებიც მოწმობენ კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას. რიგითი კოლმეურნე ბელიაევის ოჯახი, რომელშიც ოჯახის წევრად ითვლება შრომისუნარიანმა წევრმა 1.600 შრომადღე გამოიმუშავა. იღებს 1.600 კილოგრამ ჭვავს, 2.720 კილოგრამ ხორბალს. 11.200 კილოგრამ კარტოფილს, 48 კილოგრამ შაქარსა და სხვა პროდუქტებს, აგრეთვე 32 ათას მანეთს ნაღდ ფულად.

— მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაში, — ამბობს ამხ. ორლოვსკი, — გადამწყვეტი როლი შეასრულა მექანიზატორთა აქტიურმა დახმარებამ. გასულ წელს მტს-ის ძალებით მოიხნა საკოლმეურნეო მინდვრების 80 პროცენტი და აღებულ იქნა მოსავლის 85 პროცენტი.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მოსკოვის ინსტიტუტის პროფესორი **ვასილენკო,** სვერდლოვსკის ოლქის არამოლსკის მტს-ის დირექტორი ამხ. **კურიაკი,** სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პროფესიული განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **ზელენკო** და აქმოლინსკის ოლქის კალინინის მტს-ის დირექტორი ამხ. **ტროფიმოვი.** (საკდესი).

* * *

საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **კარიბჟანოვი.** იგი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურში დიდი მუშაობა წარმოებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურებში გაიგზავნა სოფლის მეურნეობის 5.900 სპეციალისტი. ამ საქმეში ყაზახეთს სერიოზული დახმარება გაუწიეს ჩელიაბინსკის, მოლოტოვის, სტალინგრადისა და კუიბიშევის ოლქებმა.

მაგრამ, ამბობს ორატორი, რესპუბლიკას ჯერ კიდევ ძალიან სუსტად იყენებენ უდიდეს რეზერვებს საოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის. ერთ-ერთი ასეთი რეზერვია ყამირი და დიდხანს ნასვენი მიწების ათვისება. მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ მიწებზე დიდი ხარჯების გაწევის გარეშეც შეგვიძლია მივიღოთ 15-20 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე. ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის გზამ“ 1953 წელს აითვისა 350 ჰექტარი ყამირი მიწები და თვითეულ ჰექტარზე მიიღო 180 ფუთი ხორბალი. ამჟამად რესპუბლიკაში ჩაღდება მუშაობა 4 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

ამხ. ყარიბჟანოვი აკრიტიკებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმისათვის, რომ იგი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მწენებლობას რესპუბლიკის მტს-ებსა და კოლმეურნეობებში.

მოსკოვის ოლქის მიტიშჩის მტს-ის დირექტორი ამხ. **აკულინინი** დამსწრეთ უამბობს იმ მტს-ის მუშაობის გამოცდილებაზე, რომელიც მომსახურებას უწევს მებოსტნეობა-მეკარტოფილეობისა და მეცხოველეობის ბაზრის საგარეუბნო კოლმეურნეობებს. მტს-მა განახორციელა კარტოფილის მოყვანის ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია: ხვნისა — 100 პროცენტით, თესვისა — 97 პროცენტით, მწკრივთა შორის დამუშავებისა — 85 პროცენტით და მოსავლის აღებისა — 63 პროცენტით. მტს-ი დაეხმარა კოლმეურნეებს მოეპოვებინათ ერთგვარი წარმატებები აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებაში; ყოველ ას ჰექტარ ნახნავზე, მდელოსა და საძოვარზე მოდის 27,5 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა კადრების მომზადებასა და სწავლებას. თვეში ორჯერ მეცადინეობს ავტონომთა და ზოოტექნიკოსთა სემინარი. ლექციებს კითხულობენ მეცნიერები და პრაქტიკოსები. ყველა ტრაქტორისტი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი და ბრიგადირის თანაშემწე იმაღლებს კვალიფიკაციას. ტრაქტორისტები სწავლობენ კარტოფილსათეს და ჩითილსარგავ მანქანებზე, კარტოფილ-კომბაინებზე მუშაობას, ტორფ-ნუშომპალის ქოთნების დამზადებას. პროფესიების ასეთი შეთავსება აძლიერებს პასუხისმგებლობას ბოსტნეულისა და კარტოფილის კვადრატული წესით თესვისათვის, რადგან მწკრივთა შორის დამუშავება მოუნდებათ იმავე ტრაქტორისტებს, რომლებიც თესავენ.

ამხ. აკულინინი აყენებს მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებს: მტს-ის ავტოტრანსპორტის გამოყენების სისტემის შესახებ, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის მუდმივი ბრიგადების შესახებ და სხვ.

პროფესორმა **ლორხმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა კარტოფილის უხვი მოსავლის მიღების საკითხებს. აღნიშნა რა, რომ ამ კულტურის მოყვანის ფართო მექანიზაცია საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ აგრონომიული მეცნიერების ყველა მიღწევა, ორატორმა განაცხადა, რომ საჭიროა კარგად მომზადება მექანიზებული თესვისათვის. სკგ-4 კარტოფილსათესის გამოყენებისას საჭიროა მოვამზადოთ კონდიციური სათესლე მასალა, ტუბერები უნდა იწონიდეს 50-80 გრამს. რათა თავიდან ავიცილოთ კარტოფილის მოსავლის დაგვიანებით აღება, რაც დაკავშირებულია დიდ დანაკარგთან, საჭიროა, ამბობს ორატორი, დროზე დავთესოთ კარტოფილი. უმჯობესია, თუ თვითეული კოლმეურნეობა დათესავს სულ ცოტა ორი ჯიშის კარტოფილს, რომლებიც სხვადასხვა დროს შემოდის.

საღამოს სხდომა დამთავრდა აკადემიკოს **იაკუშკინის** სიტყვით. იგი ამბობს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მექანიზმები, მაგალითად, ნიადაგის გასარმავებლები და სატკეპნები, ჰარხლის მოყვანისა და ახალი მიწების ათვისების დროს ცომბარისა და ყაზახეთის ჩრდილოეთი ოლქების რაიონებში.

ამხ. ჯანიბეკოვი ილაპარაკა ჩრდილო-ყაზახეთის ოლქის კოლმეურნეობის ფრონტოვიკის სახელობის ართელის თავმჯდომარის ამხ. **ბაიმაგამბეტოვის** სიტყვით. ამ ართელის ბაზაზე ორგანიზებულია ცხვრის ფერმა, რომელიც ყოველწლიურად იძლევა 100 პროცენტ ნაგებიანობას. ფერმის გამგე ამხ. **ბაიმაგამბეტოვი** ამბობს, რომ ფერმის ცხვრის ფარა ყოველწლიურად მატულობს და ამჟამად 1.500 სულს აღწევს. ფერმის ცხვრის ფარა ყოველწლიურად იძლევა 1.500 ბატკანს. ფერმის ცხვრის ფარა ყოველწლიურად იძლევა 1.500 ბატკანს. ფერმის ცხვრის ფარა ყოველწლიურად იძლევა 1.500 ბატკანს.

საქართველოს კომკავშირის XX ყრილობა

